

## განმარტებითი ბარათი

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონის" პირველი მუხლიდან სიგყვების "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მოსაკრებლების ჩარიცხვით ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოებისა და დაცვის ფინანსური უზრუნველყოფის ხელშეწყობა"-ს ამოღებას და საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრას. აღნიშნული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ვ) ქვეპუნქტთან, რაც გულისხმობს საბიუჯეტო სისტემის უნივერსალურობას, კერძოდ "ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, არც ერთი შემოსულობა, დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობების გარდა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული ხარჯის ან/და ღონისძიების დასაფინანსებლად. მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღებული შემოსავლების შენარჩუნება მისი მიზნებისათვის დაუშვებელია", აგრეთვე არსებული ჩანაწერით ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო "საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად არასაგადასახადო შემოსავლებიდან, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი ბიუჯეტებს შორის პროცენტული განაწილების მაჩვენებლის მიხედვით 100% მიემართება ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიმაჩნია "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონში" შევიდეს წარმოდგენილი ცვლილება.

წარმოდგენილი ცვლილება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ან/და გადასახდელების მაგებას ან კლებას არ იწვევს.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია პარლამენტის წევრი ზურაბ ბუცხრიკიძე.